

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030413098413114

04-368/ო

07 / დეკემბერი / 2014 წ.

„2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის 04-429/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – „პროგრამა“) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 30 ოქტომბრის 04/87932 წერილზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 27 ნოემბრის N01/95533 წერილის გათვალისწინებით, პროგრამის ადმინისტრირების ეფექტურობისა და განხორციელების პროცესის რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N04-429/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“

ბ) ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში „დადგენილება“) დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში - „პროგრამა“) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 22 ოქტომბრის №04/94615 წერილზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 23 ოქტომბრის რეზოლუციის გათვალისწინებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,“.

გ) ბრძანების პირველი პუნქტი, ქვეპუნქტების შეუცვლელად, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დადგენილების დანართი N1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით, დანართი N1.3-ის პირველი პუნქტის „გ.ბ“ და მე-2 პუნქტის „გ.ბ.“ქვეპუნქტებით და დანართი N1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების სატარიფო არეალის გამოთვლის მიზნით, პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირებული დაწესებულებების მიერ სამედიცინო დაწესებულებების საინფორმაციო პორტალზე (შემდგომში - „საინფორმაციო პორტალი“) წარმოდგენილი ინფორმაციის დაჯგუფება განხორციელდეს შემდეგი პირობების მიხედვით:“ ;

დ) ბრძანების მე-2 პუნქტი, ქვეპუნქტების შეუცვლელად, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დადგენილების დანართი N1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით, დანართი N1.3-ის პირველი პუნქტის „გ.გ“ და მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტებით და დანართი N1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების სატარიფო არეალის გამოთვლის მიზნით, მოხდეს პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირებული დაწესებულებების მიერ საინფორმაციო პორტალზე წარმოდგენილი ინფორმაციის დაჯგუფება, შემდეგი პირობების მიხედვით:“ ;

ე) ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი N5 ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციის, ამავე ნომრის მქონე დანართის სახით.

ვ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დადგენილების დანართი N1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით, დანართი N1.3-ის პირველი პუნქტის „გ.გ“ და მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტებით და დანართი N1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქიმიოთერაპიული და

ჰორმონოთერაპიული მედიკამენტების ღირებულების ნუსხის საინფორმაციო პორტალზე განახლება პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირებულმა დაწესებულებამ (საჭიროების შემთხვევაში – ახალი ფასის დაფიქსირების მიზნით) უზრუნველყოს თვეში ერთხელ, ყოველი თვის 15 რიცხვის მომდევნო ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში“;

ზ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დადგენილების დანართი N1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით, დანართი N1.3-ის პირველი პუნქტის „გ.ბ“ და მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტებით და დანართი N1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ნუსხის საინფორმაციო პორტალზე განახლებას პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირებული დაწესებულება (საჭიროების შემთხვევაში – ახალი ფასის დაფიქსირების მიზნით) უზრუნველყოფს თვეში ერთხელ, ყოველი თვის 15 რიცხვის მომდევნო 5 სამუშაო დღის განმავლობაში“.


2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ.გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების დაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის და სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი), ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ 



გაიოზ თალაკვაძე

დანართი N5 - ქიმიო და ჰორმონოთერაპიული მომსახურების ჩარევის კოდების ჯგუფები 24.10.2013

ჯგუფი	მომსახურების ტიპი	ICD-10 კოდები	NCSP კოდები
1	ნეოადიუვანტური ქიმიოთერაპია (ამბულატორია)		WCO101; WCO114; WCO121; WCO131; WCO111; WDO101; WDO111; WDO121;WDO131
2			
3			
4			
5	ნეოადიუვანტური ქიმიოთერაპია (სტაციონარი)		WCO101; WCO114; WCO121; WCO131; WCO111; WDO101; WDO111; WDO121; WDO131
6			
7			
8	დამხმარე ქიმიოთერაპია (ამბულატორია)		WCO103; WCO113; WCO123; WCO133; WFO100
9			
10			
11			
12	დამხმარე ქიმიოთერაპია (სტაციონარი)		WCO103; WCO113; WCO123; WCO133; WFO100
13			
14			
15	პალიატიური ქიმიოთერაპია (ამბულატორიული)		WEO105; WEO115; WEO125; WEO135; WFO198
16			
17			
18			
19	პალიატიური ქიმიოთერაპია (სტაციონარული)		WEO105; WEO115; WEO125; WEO135; WFO198
20			
21			
22	ნეოადიუვანტური ჰორმონოთერაპია		WCO201; WCO211; WCO221; WDO201; WDO211; WDO221
23	დამხმარე ჰორმონოთერაპია		WCO203; WCO213; WCO223; WFO200
24	პალიატიური ჰორმონოთერაპია		WEO205; WEO215; WEO225; WEO305; WEO315; WEO325; WFO298
25	ქიმიოთერაპიული პროცედურის გართულებები (ამბულატორია)	T81.0, T81.7,T81.8,T81.9	
26	ქიმიოთერაპიული პროცედურის გართულებები (სტაციონარი)	T81.0, T81.7,T81.8,T81.9	
27	ქიმიოთერაპიის პროცედურებს შორის ინსტრუმენტული კვლევები	Z08.2	

28	ქიმიოთერაპიის პროცედურებს შორის ლაბორატორიული კვლევები	Z01.7	
----	---	-------	--

ვიზიტების რაოდენობა	საწოლ-დღეების რაოდენობა
1-2	0
3-4	0
5-6	0
>7	0
1	1-2
1	3-7
1	>7
1-2	0
3-4	0
5-6	0
>7	0
1	1-2
1	3-7
1	>7
1-2	0
3-4	0
5-6	0
>7	0
1	1-2
1	3-7
1	>7
ყველა	ყველა
ყველა	ყველა
ყველა	ყველა
1-2	0
3-4	0
>5	0
1	1-2
1	3-7
1	8-10
1	>10
1	0

1	0
---	---